ხელშეკრულება 7

ქ. თბილისი

ჩვენ, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, ერთის მხრივ საჩხერის №3 საჯარო სკოლა (შემდგომში " მიმღები ") მისი დირექტორის მაია თაბაგარის სახით და მეორეს მხრივ [illegible] (შემდგომში "მიმღები"), [illegible] სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი ყიდის და მიმღები ყიდულობს მედიკამენტებსა და სამედიცინო დანიშნულების საგნებს;

1.2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასაყიდი პროდუქციის ნუსხას, რაოდენობას, ფასებსა და გადახდის ვადებს მხარეები ადგენენ ურთიერთშეთანხმებით, მოწოდებული პრაის-ლისტის შესაბამისად.

1.3. მიმწოდებელი ვალდებულია თავის ტრანსპორტით საქონლის შეკვეთის მიღებიდან 3 კალენდარულ დღეში მიაწოდოს მიმღებს შესაბამისი საქონელი ზედდებულის დართვით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად მიაწოდოს "მიმღებს" პროდუქცია;
- მიმღებს გადასცეს ხარისხიანი და რაოდენობრივად უნაკლო მედიკამენტები.

2.2. მიმღები ვალდებულია:

- შეამოწმოს მედიკამენტების ვარგისიანობა და რაოდენობა გადაცემისას;
- დადგენილ ვადაში მოახდინოს მიღებული პროდუქციის საფასურის გადახდა.

2.3. მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმი მიმღების მიერ მიღებულად ჩაითვლება მიმღების თანამშრომლის მიერ შესაბამის ზედნადებზე ხელმოწერისთანავე.

2.4. ყოველი კვარტლის ბოლოს შედგება შედარების აქტი, რომელშიდაც აღნიშნული იქნება მხარეებს შორის არსებული დავალიანება. შედარების აქტს ხელს აწერს თითოეული მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადარიცხვით, ნაღდი ანგარიშსწორებით ან შემდგომი გადახდის პირობით (არაუმეტეს 30 დღისა). მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის ფასი შეიცავს ტრანსპორტირების ფასს.

3.2. შემდგომი გადახდის პირობით მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის მიწოდებისას (ურთიერთშეთანხმებით), მათი ღირებულების გადახა ხდება ზედნადებში აღნიშნული ღირებულებისა და მასში მითითებულ ვადებში. გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ლარის დევალვაციის (>5%) შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება საკურსო სხვაობის გათვალისწინებით, ლარის გადახდის დღისათვის დაფიქსირებული კურსით აშშ დოლართან მიმართებაში.

4. სხვა პირობები